დ.გ) 0,2 ათასი ლარით უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურების ქვეპროგრამის სუბსიდია (პროგრამული კოდი 06 03 05);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ივლისის N5 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია შემდეგი გადანაწილებები:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 28 თებერვლის N137 ბრძანებით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისთვის“ ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 2,26 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „საწვავ/საპოხი მასალების შეძენა“ ასიგნება და 2,26 ათასი ლარით გადიდდა მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდას“ ასიგნება.

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 13 მარტის N144 ბრძანებით შპს „ხობი დასუფთავება და განათებისთვის“ ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 2,53 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ ასიგნება და 2,53 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურება“-ს „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ტრანსპორტისა და ტექნიკის არაკლასიფიცირებული ხარჯები“.

გ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 19 მარტის N149 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლისათვის“ დამტკიცებულ ასიგნებებში 4,73 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“-ს ასიგნება და 4,73 ათასი ლარით გადიდდა მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება.

დ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 19 მარტის N150 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით პროგრამა „სპორტის განვითარების ხელშეწყობა“-ს ქვეპროგრამის „სპორტული ღონისძიებების დაფინანსება“ ასიგნებებში 0,74 ათასი ლარით შემცირდა „შემხვედრი ღონისძიებების“ ასიგნება და 0,74 ათასი ლარი მიმართულ იქნა ქ. ხობში ჭიდაობა-ძიუდოს რესპუბლიკური ტურნირისათვის მედლებისა და თასების შეძენის ასიგნებაზე.

ე) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 20 მარტის N151 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის დამტკიცებულ ასიგნებებში 0,11 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯებში“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა“ ასიგნება და 0,11 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯებში“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ ასიგნება.

ვ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 27 მარტის N157 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლისათვის“ დამტკიცებულ ასიგნებებში 1,75 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურებას“ მუხლის „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“-ს ასიგნება და 1,6 ათასი ლარით გაიზარდა მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნება, 0,15 ათასი ლარით გაიზარდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი“-ს ასიგნება.

ზ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 27 მარტის N158 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და

მოზილიზაციის სამსახურისთვის ხოზის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 0,1 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურებას“ მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე გაწეული ხარჯი“-ს ასიგნება და 0,1 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ ასიგნება.

თ) ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 29 მარტის N162 ბრძანებით ხოზის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის დამტკიცებულ ასიგნებებში 0,3 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა“ ასიგნება და 0,3 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები“-ს ასიგნება.

ი) ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 1 აპრილის N171 ბრძანებით ხოზის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის დამტკიცებულ ასიგნებებში 2,2 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „კავშირგაბმულობის ხარჯები“-ს ასიგნება, 1,2 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურებას“ მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება და 3,4 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „კავშირგაბმულობის ხარჯების“ ასიგნება.

კ) ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 2 აპრილის N174 ბრძანებით ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მოზილიზაციის სამსახურისთვის ხოზის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 0,6 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურებას“ მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება და 0,6 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „კავშირგაბმულობის ხარჯების“ ასიგნება.

ლ) ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 4 აპრილის N177 ბრძანებით ხოზის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ა(ა)იპ „ხოზის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრისათვის“ დამტკიცებულ ასიგნებებში 1,1 ათასი ლარით შემცირდა მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება და 1,1 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურებას“ „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „კომუნალური ხარჯების“ ასიგნება.

მ) ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 8 აპრილის N181 ბრძანებით ხოზის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით პროგრამის „სპორტის განვითარების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამის „სპორტული ღონისძიებების დაფინანსება“ ასიგნებებში 0,2 ათასი ლარით შემცირდა „შემხვედრი ღონისძიებების“ ასიგნება და 0,2 ათასი ლარი მიმართულ იქნა ტრადიციულ კარატეში საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრის გოგა კორტავას მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების ხარჯების დაფინანსებაზე.

ნ) ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 15 აპრილის N188 ბრძანებით შპს „ხოზი დასუფთავება და განათებასთვის“ ხოზის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 3,6 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნება და 3,6 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურება“-ს „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „საწვავ/საპოხი მასალების შეძენა“-ს ასიგნება.

ო) ხოზის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 18 აპრილის N192 ბრძანებით მიღებულ იქნა ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის წინადადება (2013 წლის 15 აპრილის №10/764 მოხსენებითი ბარათი) და პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი

ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 4 აპრილის №311 განკარგულებით ხოზის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 28,5 ათასი ლარის ხოზის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით, ხოზის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილება:

ო.ა) გადიდდა ხოზის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები „გრანტებიდან“ (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) 28,5 (ოცდარვა ათას ხუთასი) ათასი ლარით;

ო.ბ) შემოსავლების ზრდის თანხების მთლიანი მოცულობა – 28,5 ათასი ლარი მიიმართა პრიორიტეტის „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნებაზე, კერძოდ:

ო.ბ.ა) 9,0 ათასი ლარი პროგრამის „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები)“ ქვეპროგრამის „გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ ასიგნებაზე.

ო.ბ.ბ) 19,5 ათასი ლარი პროგრამის „კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ ქვეპროგრამის „წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია“ ასიგნებაზე.

4. შემოსულობების ზრდით მისაღები 180,8 ათასი ლარი და გამოთავისუფლებული ასიგნებები 33,7 ათასი ლარი, სულ 214,5 ათასი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

ა) აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების (პროგრამული კოდი 01 00) ხარჯებზე 133,1 ათასი ლარი, კერძოდ:

ა.ა) 37,8 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკრებულოს (პროგრამული კოდი 01 01) ასიგნებაზე, აქედან: 26,4 ათასი ლარი მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება, 7,8 ათასი ლარი „საქონელი და მომსახურება“-ს „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „საწვავ/საპოხი მასალების შეძენა“ ასიგნება, 0,8 ათასი ლარი „საქონელი და მომსახურება“-ს „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „კავშირგაბმულობის ხარჯები“ ასიგნება, 2,8 ათასი ლარი;

ა.ბ) 95,3 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის გამგეობის (პროგრამული კოდი 01 02) ასიგნებას, აქედან: 91,2 ათასი ლარი – მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება; 3,0 ათასი ლარი – „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი „მივლინებები“-ს ასიგნება; 1,1 ათასი ლარი – „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „ოფისის ხარჯები“-ს ასიგნება;

ბ) პრიორიტეტის თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00) ასიგნებებზე 30,2 ათასი ლარი, კერძოდ:

ბ.ა) 25,5 ათასი ლარი საგანგებო სიტუაციების მართვის პროგრამის (ორგანიზაციული კოდი 02 01) ასიგნებაზე, აქედან: 25,5 ათასი ლარი – მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება;

ბ.ბ) 4,7 ათასი ლარი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების ხელსეწყობის პროგრამის (პროგრამული კოდი 02 03) ასიგნებაზე, აქედან: 4,7 ათასი ლარი – მუხლი „შრომის ანაზღაურება“-ს ასიგნება;

გ) პრიორიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00) ასიგნებებზე 17,4 ათასი ლარი, კერძოდ:

გ.ა) 10,0 ათასი ლარი პროგრამის კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02) ქვეპროგრამის მუნიციპალიტეტის დასუფთავება და განათება (პროგრამული კოდი 03 02 01) სუბსიდიის ასიგნებაზე;

გ.ბ) 4,9 ათასი ლარი პროგრამის კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02) ქვეპროგრამის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03) მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ასიგნებაზე;

გ.გ) 2,5 ათასი ლარი პროგრამის ვეტერინარიის ხარჯების (პროგრამული კოდი 03 03) მუხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“-ს ასიგნებაზე;

დ) პრიორიტეტის განათლება (პროგრამული კოდი 04 00) ასიგნებაზე 24,5 ათასი ლარი, კერძოდ:

დ.ა) 24,5 ათასი ლარი პროგრამა სკოლამდელი განათლების დაფინანსებას (პროგრამული კოდი 04 01) სუბსიდიის ასიგნებაზე;

ე) პრიორიტეტის კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00) ასიგნებაზე 2,5 ათასი ლარი, კერძოდ:

ე.ა) 2,5 ათასი ლარი პროგრამის კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02) ქვეპროგრამა ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 02 04) სუბსიდიის ასიგნებაზე;

ვ) პრიორიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00) ასიგნებაზე 6,8 ათასი ლარი, კერძოდ:

ვ.ა) 6,8 ათასი ლარი პროგრამის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01) სუბსიდიის ასიგნებაზე;

5. დადგენილების თავი I, თავი II, თავი III ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის სახით.

6. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა

„დანართი
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2012 წლის 28 დეკემბრის N29 დადგენილების

თავი I

ხოზის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა			2013 წლის გეგმა		
	2011 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	6,481.5	9,090.5	2,481.3	6,609.2	6,085.4	28.5	6,056.9
გადასახადები	4,373.3	6,146.1	0.0	6,146.1	5,327.8	0.0	5,327.8
გრანტები	1,472.4	2,481.3	2,481.3	0.0	233.5	28.5	205.0
სხვა შემოსავლები	635.8	463.1	0.0	463.1	524.1	0.0	524.1
ხარჯები	4,852.5	5,997.7	10.0	5,987.7	6,367.2	10.0	6,357.2
შრომის ანაზღაურება	1,310.6	1,686.5	0.0	1,686.5	1,975.6	0.0	1,975.6
საქონელი და მომსახურება	858.6	1,021.5	10.0	1,011.5	1,063.4	10.0	1,053.4
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	84.9	185.7	0.0	185.7	108.1	0.0	108.1
სუბსიდიები	2,312.8	2,773.4	0.0	2,773.4	2,985.9	0.0	2,985.9
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	285.6	330.6	0.0	330.6	234.2	0.0	234.2
სხვა ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საოპერაციო სალდო	1,629.0	3,092.8	2,471.3	621.5	-281.8	18.5	-300.3
არაფინანსური აქტივების ცვლილება	1,443.5	3,411.9	2,618.7	793.2	705.6	94.9	610.7
ზრდა	1,642.6	3,655.9	2,618.7	1,037.2	1,008.6	94.9	913.7
კლება	199.1	244.0	0.0	244.0	303.0	0.0	303.0
მთლიანი სალდო	185.5	-319.1	-147.4	-171.7	-987.4	-76.4	-911.0

ფინანსური აქტივების ცვლილება	144.2	-525.9	-155.6	-370.3	-1,088.8	-76.4	-1,012.4
ზრდა	304.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	304.3	0.0			0.0		
კლება	160.1	525.9	155.6	370.3	1,088.8	76.4	1,012.4
ვალუტა და დეპოზიტები	160.1	525.9	155.6	370.3	1,088.8	76.4	1,012.4
ვალდებულებების ცვლილება	-41.3	-206.8	-8.2	-198.6	-101.4	0.0	-101.4
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	41.3	206.8	8.2	198.6	101.4	0.0	101.4
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	41.3	206.8	8.2	198.6	101.4	0.0	101.4
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
წინა წელს გამოუყენებელი თანხის დაბრუნება	0.000	0.000			16.500	16.500	

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	6680.6	9334.5	2481.3	6853.2	6388.4	28.5	6359.9
შემოსავლები	6481.5	9090.5	2481.3	6609.2	6085.4	28.5	6056.9
არაფინანსური აქტივების კლება	199.1	244.0	0.0	244.0	303.0	0.0	303.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გაკლებით)	0.0	0.0			0.0	0.0	0.0
გადასახდელები	6536.4	9860.4	2636.9	7223.5	7477.2	104.9	7372.3

ხარჯები	4852.5	5997.7	10.0	5987.7	6367.2	10.0	6357.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	1642.6	3655.9	2618.7	1037.2	1008.6	94.9	913.7
ვალდებულებების კლება	41.3	206.8	8.2	198.6	101.4		101.4
წინა წელს გამოუყენებელი თანხის დაბრუნება					16.5	16.5	
ნაშთის ცვლილება	144.20	-525.90	-155.60	-370.30	-1105.3	-92.9	-1012.40

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6085,4 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა			2013 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	6,481.5	9,090.5	2,481.3	6,609.2	6,085.4	28.5	6,056.9
გადასახადები	4,373.3	6,146.1	0.0	6,146.1	5,327.8	0.0	5,327.8
გრანტები	1,472.4	2,481.3	2,481.3	0.0	233.5	28.5	205.0
სხვა შემოსავლები	635.8	463.1	0.0	463.1	524.1	0.0	524.1

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 5327,8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	4,373.3	6,146.1	0.0	6,146.1	5,327.8	0.0	5,327.8
ქონების გადასახადი	4,373.3	6,146.1	0.0	6,146.1	5,327.8	0.0	5,327.8
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3,061.9	4,050.3		4,050.3	3,295.0		3,295.0

ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3.5	0.0	0.0	0.0	5.0	0.0	5.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1.4	0.0			5.0		5.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	2.1	0.0			0.0		
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	254.5	167.0	0.0	167.0	250.0	0.0	250.0
ფიზიკურ პირებიდან	89.4	40.0		40.0	90.0		90.0
იურიდიულ პირებიდან	165.1	127.0		127.0	160.0		160.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1,053.4	1,928.8	0.0	1,928.8	1,777.8	0.0	1,777.8
ფიზიკურ პირებიდან	41.7	20.0		20.0	5.0		5.0
იურიდიულ პირებიდან	1,011.7	1,908.8		1,908.8	1,772.8		1,772.8

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 233,5 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	1,472.4	2,481.3	2,481.3	0.0	233.5	28.5	205.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	1,472.4	2,481.3	24,981.3	0.0	233.5	28.5	205.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	169.5	203.0	203.0	0.0	205.0	0.0	205.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	169.5	203.0	203.0		205.0		205.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1,302.9	2,278.3	2,278.3	0.0	28.5	28.5	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა, მათ შორის:	580.3	1,390.0	1,390.0	0.0	28.5	28.5	0.0

რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება (155 განკარგულება)	580.3	400.0	400.0		0.0		
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სხვა თანხა			790.0		28.5	28.5	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	722.6	888.3	888.3		0.0		

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 524,1 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	635.8	446.7	0.0	446.7	524.1	0.0	524.1
შემოსავლები საკუთრებიდან	151.6	85.0	0.0	85.0	124.0	0.0	124.0
რენტა	151.6	85.0	0.0	85.0	124.0	0.0	124.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	148.9	80.0		80.0	90.5		90.5
შემოსავალი მიწის იჯარაიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	2.7	5.0		5.0	33.5		33.5
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	203.1	212.0	0.0	212.0	210.1	0.0	210.1
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	83.0	47.3	0.0	47.3	26.8	0.0	26.8
სანებართვო მოსაკრებელი	49.4	10.0		10.0	5.0		5.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	33.6	37.3		37.3	21.8		21.8
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	120.1	164.7	0.0	164.7	183.3	0.0	183.3
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	120.1	164.7		164.7	183.3		183.3
ჯარიმები, სანქციები და საურავები	277.2	149.7		149.7	190.0		190.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	3.9	0.0			0.0		

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6367,2 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტიური	2012 წლის გეგმა			2013 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	4,852.2	5,997.7	10.0	5,987.7	6,367.2	10.0	6,357.2
შრომის ანაზღაურება	1,310.6	1,686.5	0.0	1,686.5	1,975.6	0.0	1,975.6
საქონელი და მომსახურება	858.6	1,021.5	10.0	1,011.5	1,063.4	10.0	1,053.4
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	84.9	185.7	0.0	185.7	108.1	0.0	108.1
სუბსიდიები	2,312.5	2,773.4	0.0	2,773.4	2,985.9	0.0	2,985.9
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	285.6	330.6	0.0	330.6	234.2	0.0	234.2
სხვა ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	644.3	3,655.9	2,618.7	1,037.2	980.1	66.4	913.7
ძირითადი აქტივები	644.3	3,655.9	2,618.7	1,037.2	980.1	66.4	913.7
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	41.3	206.8	8.2	198.6	101.4	0.0	101.4
საშინაო	41.3	206.8	8.2	198.6	101.4	0.0	101.4
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 1008,6 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა	2013 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,642.6	3,695.9	1,008.6

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 303,0 ათასი ლარით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა	2013 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	199,1	244,0	303,0
ძირითადი აქტივები	46,1	0,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	153,0	244,0	303,0
მიწა	153,0	244,0	303,0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალურ ჭრილში თანდართული ფორმით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება		2012 წლის გეგმა			2013 წლის გეგმა		
		2011 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,662.4	2,371.9	0.0	2,371.9	2,664.0	0.0	2,664.0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,568.0	2,173.7	0.0	2,173.7	2,555.9	0.0	2,555.9
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,485.7	2,076.9	0.0	2,076.9	2,464.9	0.0	2,464.9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	82.3	96.8	0.0	96.8	91.0	0.0	91.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	84.9	185.7	0.0	185.7	108.1	0.0	108.1
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	9.5	12.5	0.0	12.5	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	85.7	101.0	0.0	101.0	113.1	0.0	113.1

703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	316.1	576.9	0.0	576.9	692.8	0.0	692.8
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	61.1	167.4	0.0	167.4	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	255.0	409.5	0.0	409.5	692.8	0.0	692.8
704	ეკონომიკური საქმიანობა	1,143.4	2,424.9	2,087.0	337.9	61.6	26.8	34.8
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	932.3	1,099.3	1,099.3	0.0	19.0	14.2	4.8
70421	სოფლის მეურნეობა	932.3	1,099.3	1,099.3	0.0	19.0	14.2	4.8
7045	ტრანსპორტი	211.1	1,325.6	987.7	337.9	42.6	12.6	30.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	211.1	1,325.6	987.7	337.9	42.6	12.6	30.0
705	გარემოს დაცვა	620.6	845.9	216.9	629.0	712.5	35.8	676.7
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	94.7	247.4	216.9	30.5	90.4	35.8	54.6
7053	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	525.9	598.5	0.0	598.5	622.1	0.0	622.1
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	297.6	700.9	324.8	376.1	438.4	38.5	399.9
7063	წყალმომარაგება	37.4	149.4	92.4	57.0	24.5	19.5	5.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	260.2	551.5	232.4	319.1	413.9	19.0	394.9
707	ჯანმრთელობის დაცვა	125.5	129.9	0.0	129.9	110.5	0.0	110.5
7072	ამბულატორიული მომსახურება	45.6	49.3	0.0	49.3	19.0	0.0	19.0
70724	საშუალო სამედიცინო პერსონალის მომსახურება	45.6	49.3	0.0	49.3	19.0	0.0	19.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	79.9	80.6	0.0	80.6	91.5	0.0	91.5
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	857.7	1,006.0	0.0	1,006.0	1,017.3	0.0	1,017.3
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	333.9	459.8	0.0	459.8	461.7	0.0	461.7
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	476.9	472.7	0.0	472.7	492.8	0.0	492.8
7083	ტელე-რადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	40.0	45.5	0.0	45.5	47.4	0.0	47.4
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	6.9	28.0	0.0	28.0	15.4	0.0	15.4
709	განათლება	1,100.5	1,079.3	0.0	1,079.3	1,241.0	3.8	1,237.2
7091	სკოლამდელი აღზრდა	664.6	646.9	0.0	646.9	836.7	3.8	832.9

7092	ზოგადი განათლება	67.9	56.0	0.0	56.0	0.0	0.0	0.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	67.9	56.0	0.0	56.0	0.0	0.0	0.0
7093	პროფესიული განათლება	52.2	96.4	0.0	96.4	94.7	0.0	94.7
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	315.8	280.0	0.0	280.0	309.6	0.0	309.6
710	სოციალური დაცვა	285.6	416.9	0.0	416.9	324.6	0.0	324.6
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0.0	150.0	0.0	150.0	70.0	0.0	70.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	0.0	150.0	0.0	150.0	70.0	0.0	70.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	105.9	140.0	0.0	140.0	100.0	0.0	100.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	76.3	88.9	0.0	88.9	91.6	0.0	91.6
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	103.4	38.0	0.0	38.0	63.0	0.0	63.0
	სულ	6,495.1	9,653.6	2,628.7	7,024.9	7,375.8	104.9	7,270.9

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -987,4 ათასი ლარით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0-ით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1105,3 ათასი ლარით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0-ით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 101,4 ათასი ლარით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 90,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 205 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯამრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 91,5 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 108,5 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5,0 ათასი ლარი;

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საგანგებო სიტუაციების (ხანძარი, წყალდიდობა, მეწყერი, ავტოსატრანსპორტო შემთხვევები და სხვა ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის სტიქიური უბედურებები) სალიკვიდაციოდ პრევენციის მიზნით აუცილებელია სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. ხანძრის ჩაქრობისა და სამაშველო ღონისძიებების მაღალპროფესიული უზრუნველყოფისათვის პირადი შემადგელობის ტექნიკური და პროფესიული მომზადების სრულყოფა. თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

ა) საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის მიზანია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ქმედითუნარიანობის ამაღლება, სამაშველო-საავარიო ტექნიკით უზრუნველყოფა, ხანძრების დროს მატერიალურ ფასეულობათა გადარჩენის პროცენტული მაჩვენებლების ზრდა, ხანძრის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, პირადი შემადგენლობის კანონით გათვალისწინებული სოციალური და სამართლებრივი უფლების დაცვა.

ბ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამით ხორციელდება მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა, წვევამდელთა ჯამრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქში მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ასფალტის საფარიანი გზების მოვლა-შენახვა, ტროტუარების რეაბილიტაცია, ქალაქის სკვერებისა და პარკების, ქუჩებისა და მოედნების დასუფთავების ღონისძიებები, გარე განათების მოვლა-შენახვა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება

არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

ა.ა) გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, ასფალტის საფარიანი გზების მოვლა-შენახვა.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

ბ.ა) მუნიციპალიტეტის დასუფთავება და განათება (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. ხობის ტერიტორიის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ნაგავსაყრელი პოლიგონის გამართული ფუნქციონირება, განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და ახალი ქსელების მოწყობა.

ბ.ბ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, სოფელ ყულევში სასმელი წყლის შეზიდვა.

ბ.გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

აღნიშნული პროგრამის მიხედვით განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა, სახურავების რეაბილიტაცია, ქალაქის ცენტრის კეთილმოწყობა.

ბ.დ) საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

რეაბილიტაცია ჩატარდება და მოეწყობა სანიაღვრე არხები.

გ) ვეტერინარიის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება ღორის ჭირის პრევენცია, მოხდება ბუნებიდან სათანადო ნებართვით მგლის ინდივიდის ამოღება.

დ. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან, ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი“-ს მეშვეობით ხორციელდება ახალგაზრდობის პროფორიენტაციის პროგრამა. დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი არის სკოლამდელი განათლება, რაც თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

დ.ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საადმზრდელო გაერთიანება“, რომელიც აერთიანებს 29 საბავშვო ბაღს, სადაც განათლებას იღებს 1000-მდე ბავშვი. ქალაქ ხობში ერთ ბავშვის სწავლის ქირა შეადგენს 20 ლარს, სოფლებში 15 ლარს, გარკვეული შეღავათები აქვთ სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს. ხორციელდება ღონისძიებები საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებაზე, მათ რეაბილიტაციაზე და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებაზე.

დ.ბ) მოსწავლე-ახალგაზრდობის კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 04 03)

ა(ა)იპ „ხოზის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“-ს მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახორციელებს სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზებას მომავალ თაობასთან, ხორციელდება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების და მასობრივი მუშაობის საინფორმაციო მეთოდური უზრუნველყოფა, სხვადასხვა სახის სასწავლო, შემეცნებითი, სახელოვნებო კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, ტურების, ფესტივალების მოწყობა და ნიჭიერ მოზარდთა გამოვლენა. ინტელექტუალური, სახელოვნებო, სასპორტო და სხვა მიმართულებებით ჩამოყალიბებული სექციებისა და ჯგუფების მუშაობის უზრუნველყოფა. სამუსიკო სკოლაში ყოველთვიური გადასახდელი განისაზღვრა 12 ლარი.

დ.გ) პროფესიული სწავლება (პროგრამული კოდი 04 04)

ა(ა)იპ „ხოზის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრი“-ს მეშვეობით ხორციელდება ახალგაზრდობის პროფორიენტაციის პროგრამა.

ე) კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტი ამ პროგრამის მეშვეობით ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს. ხელს უწყობს საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, წარმატებული სპორტსმენების წახალისებას, ნიჭიერ ბავშვებს და ახალგაზრდებს მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენაში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსება. იზრდება ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა და ახალგაზრდობის ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ისტორიული ძეგლების მონიტორინგი, საჭირო შემთხვევაში არქეოლოგიური კუთხით სადაზვერვო სამუშაოების ჩატარება.

ე.ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

ე.ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტის სხვადასხვა სახეობებში ტურნირების ჩატარება, სპორტში ახალგაზრდობის ჩართულობის გაზრდა, სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და განვითარების ხელშეწყობა.

ე.ა.ბ) ხოზის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთის“ ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 02)

ა(ა)იპ „ხოზის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“-ს სუბსიდირება, უზრუნველყოფს სპორტის უმნიშვნელოვანესი სახეობის ფეხბურთის პოპულარიზაციას და გუნდის მომზადებას საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობისათვის.

ე.ა.გ) სტადიონების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქსა და სოფლებში არსებული მარტივი ტიპის მოედნების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია.

ე.ა.დ) ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ხოზის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“, სადაც 11 ასაკობრივ ჯგუფებში გაერთიანებულია 217 ბავშვი, სკოლის გუნდები მონაწილეობას იღებენ სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის რეგიონების ტურნირებში.

ვ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ვ.ა) კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“, რომელიც აერთიანებს 13 ბიბლიოთეკას, 3 მუზეუმს, 7 სასოფლო კლუბსა და 3 კულტურის სახლს. ცენტრი ხელს უწყობს ქართული ფოლკლორის განვითარებას, ატარებს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების გამოფენას.

ვ.ბ) ძეგლთა დაცვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ისტორიული ძეგლების მონიტორინგი, საჭირო შემთხვევაში ტარდება არქეოლოგიური სადაზვერვო სამუშაოები, წარმოებს გამოფენების ორგანიზება.

ვ.გ) კულტურული მემკვიდრეობის ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ტარდება ხობის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობით ადგილობრივი ფოლკლორის, ხალხური ტრადიციების გამოვლენისა და პოპულარიზაციის მიზნით კონკურსები, გათვალისწინებულია მოეწყოს მეგრული ფოლკლორისა და რეწვის სადამო.

ვ.დ) ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი სუბსიდირებას უწევს შ.პ.ს. „ხობის მოამბე“-ს, რითაც ხელი ეწყობა მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას მუნიციპალიტეტსა და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

ზ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, მხარეთმცოდნეობის კუთხით ლაშქრობების მოწყობა, ახალგაზრდული დღეების გამართვა, ექსკურსიების მოწყობა, ახალგაზრდობისათვის სხვადასხვა თემატურ საკითხებზე შეხვედრების მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

ზ.ა) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხობის ხარების დედათა მონასტრის ფინანსური მხარდაჭერა.

თ) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში ახორციელებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას, ერთიანი სახერლმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას.

თ.ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები (პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება; ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა; დაავადებების პირველადი ღონისძიებები; ლაბორატორიული სინჯის აღება.)

იმუნიპროფილაქტიკის დაგეგმვა-განხორციელება, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა (იმუნიპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება, ანალიზი, შეფასება, დაზუსტება და ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით. ვაქცინაციანთა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

იმუნიპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა (ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგის შექმნა) მუნიციპალიტეტში; ვაქცინათა და სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პჯდ დაწესებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით; „ცივი ჯაჭვის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენა (წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესის მიხედვით და გადამტანების არსებობის დაგენა სეზონის განმავლობაში).

პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები (წყალსატევებში გამბუზიის გავრცელება ყოველწლიურად და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა.)

პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა (მალარიის სკრინინგული კვლევა კერებში და კერის გარშემო; სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა).

დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა (მალარიის დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; სხვა პარაზიტული დაავადებების დიაგნოსტიკა, რეკომენდაციების მიწოდება).

სანიტარული ღონისძიებები (საგანმანათლებლო-საარმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა).

თ.ბ) ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დამატებითი ამბულატორიული სამედიცინო დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახდენს იმ მცირერიცხოვანი სულადობის მქონე სოფლების ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებას, რომლებიც დარჩნენ სახელმწიფო პროგრამის გარეშე.

თ.გ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 03)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სტიქიით დაზარალებულთა დახმარებასა და სხვა სოციალურ ღონისძიებებს.

თ.გ.ა) ავადმყოფთა სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 06 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად შეჭირვებული ადამიანებისათვის ფაქტიური საოპერაციო ხარჯების 50 %-ის დაფარვა, არაუმეტეს 2000 ლარისა.

თ.გ.ბ) სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები) (პროგრამული კოდი 06 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ომის ვეტერანთა და დევნილთა დალუპვის შემთხვევაში სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარების გაწევა.

თ.გ.გ) ომის ვეტერანთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები (9 მაისის ერთჯერადი დახმარება) (პროგრამული კოდი 06 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დახმარება მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში მონაწილეებზე.

თ.გ.დ) მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარების ხარჯები (პროგრამული კოდი 06 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება ეწევა 4 და მეტი შვილზე 85 ოჯახს, 100 წელზე უხნესს 7 პიროვნებას.

თ.გ.ე) უმწეოთა სასაბუღალტრო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება (პროგრამული კოდი 06 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ხოზის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს სუბსიდიის მოცულობა შეადგენს 91,6 ათას ლარს. სასაბუღალტრო მომსახურება 100 ბენეფიციარს, ხოლო ბინაზე მომსახურება ეწევა 90-მდე მარტოხელას.

თ.გ.ვ) ბავშვის შეძენასთან დაკავშირებული ერთჯერადი დახმარების ხარჯი (პროგრამული კოდი 06 03 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილია სულ 35.0 ათასი ლარი, ერთ ბავშვის შეძენისას გაიცემა ერთჯერადი დახმარება 100 ლარი.

თ.გ.ზ) უმწეო კატეგორიაზე სასმელი წყლის ხარჯის ანაზღაურება (პროგრამული კოდი 06 03 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში 0-57000 სარეიტინგო ქულის მქონეთ ეწევა დახმარება, რაც მოიცავს 130-მდე ოჯახს, რომელთა სულადობა 600-მდეა, რისთვისაც გამოყოფილია 8.0 ათასი ლარი.

თ.დ) უმწეოთა ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება ეწევა სოციალურად შეჭირვებულ ადამიანებს ერთჯერადად 50-300 ლარის ფარგლებში, რისთვისაც გამოყოფილია 50.0 ათასი ლარი.

თ.ე) ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული დახმარება გაიცემა ერთჯერადად, სტიქიური მოვლენებითა და ხანძრით დაზარალებული მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის, გასაცემი თანხის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 3000 ლარს და გაიცემა ერთჯერადად.

თავი III

ხოზის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 17. ხოზის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2012 წლის გეგმა			2013 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	ხოზის მუნიციპალიტეტი	6,536.4	9,860.4	2,636.9	7,223.5	7,477.2	104.9	7,372.3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	198.0	222.0	0.0	222.0	224.0	0.0	224.0
	ხარჯები	4,852.5	5,997.7	10.0	5,987.7	6,367.2	10.0	6,357.2

	შრომის ანაზღაურება	1,310.6	1,686.5	0.0	1,686.5	1,975.6	0.0	1,975.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,642.6	3,655.9	2,618.7	1,037.2	1,008.6	94.9	913.7
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	41.3	206.8	8.2	198.6	101.4	0.0	101.4
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1,703.7	2,578.7	8.2	2,570.5	2,765.4	0.0	2,765.4
	მომუშავეთა რიცხოვნობა	155.0	163.0	0.0	163.0	165.0	0.0	165.0
	ხარჯები	1,630.5	2,248.7	0.0	2,248.7	2,466.1	0.0	2,466.1
	შრომის ანაზღაურება	1,061.0	1,369.5	0.0	1,369.5	1,576.7	0.0	1,576.7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	31.9	123.2	0.0	123.2	197.9	0.0	197.9
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	41.3	206.8	8.2	198.6	101.4	0.0	101.4
01 01	ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო	349.5	486.0	0.0	486.0	511.9	0.0	511.9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	24.0	25.0		25.0	27.0		27.0
	ხარჯები	342.6	408.9	0.0	408.9	503.6	0.0	503.6
	შრომის ანაზღაურება	235.1	264.6	0.0	264.6	344.9	0.0	344.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6.9	77.1	0.0	77.1	8.3	0.0	8.3
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 02	ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა	1,136.2	1,590.9	0.0	1,590.9	1,953.0	0.0	1,953.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	131.0	138.0		138.0	138.0		138.0
	ხარჯები	1,111.2	1,544.8	0.0	1,544.8	1,763.4	0.0	1,763.4
	შრომის ანაზღაურება	825.9	1,104.9	0.0	1,104.9	1,231.8	0.0	1,231.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	25.0	46.1	0.0	46.1	189.6	0.0	189.6
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 03	სარეზერვო ფონდი	82.3	95.0	0.0	95.0	90.0	0.0	90.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	82.3	95.0	0.0	95.0	90.0	0.0	90.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 04	საბანკო მომსახურების ხარჯი	0.0	1.8	0.0	1.8	1.0	0.0	1.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		

	ხარჯები	0.0	1.8	0.0	1.8	1.0	0.0	1.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 05	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	126.2	392.5	8.2	384.3	209.5	0.0	209.5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	84.9	185.7	0.0	185.7	108.1	0.0	108.1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	41.3	206.8	8.2	198.6	101.4	0.0	101.4
01 06	მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯი	9.5	12.5	0.0	12.5	0.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	0.0	0.0			0.0		
	ხარჯები	9.5	12.5	0.0	12.5	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	401.8	677.9	0.0	677.9	805.9	0.0	805.9
	მომუშავეთა რიცხოვნობა	43.0	59.0	0.0	59.0	59.0	0.0	59.0
	ხარჯები	393.6	529.5	0.0	529.5	540.5	0.0	540.5
	შრომის ანაზღაურება	249.6	317.0	0.0	317.0	398.9	0.0	398.9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8.2	148.4	0.0	148.4	265.4	0.0	265.4
ა) მოხელე 3 წელიწადში ერთხელ (საატესტაციო პერიოდი);

ბ) მოხელე, რომელიც წამოყენებულია სამსახურებრივი დაწინაურებისთვის;

გ) კანდიდატი მოხელის თანამდებობაზე, თუ თანამდებობა კონკურსის წესით უნდა დაიკავონ.

2. მოხელე, რომელიც საატესტაციო პერიოდის უკანასკნელი წლის მანძილზე სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა 6 თვეზე ნაკლები ვადით, ატესტაციას ექვემდებარება მომავალ წელს.

3. მოხელე, რომელსაც უფლებამოსილება შეჩერებული აქვს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 89-ე მუხლის „ბ“, „გ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ატესტაციას გადის უფლებამოსილების აღდგენიდან არანაკლებ ერთი თვის შემდეგ.

მუხლი 19. ატესტაციის მიზნები

ატესტაციის მიზანია:

ა) მოხელის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის, შესაძლებლობებისა და პიროვნული თვისებების შესაბამისობის განსაზღვრა დაკავებული (ან დასაკავებელი) თანამდებობის მოთხოვნებთან;

ბ) მოხელის მიერ საატესტაციო პერიოდში შესრულებული პროფესიული სამსახურებრივი საქმიანობის შეფასება;

გ) საკლასო ჩინისა და სპეციალური წოდების მინიჭებასა ან ჩამორთმევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება;

დ) მოხელის პროფესიული დონის გამოყენების პერსპექტივების განსაზღვრა;

ე) მოხელის კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადების ან გადამზადების საჭიროების დადგენა;

ვ) მოხელის პროფესიული ზრდის სტიმულირება;

ზ) მოხელეთა კარიერის დაგეგმვა და მართვა.

მუხლი 20. ატესტაციის პრინციპები

ატესტაციის პრინციპებია:

ა) ობიექტურობა – ატესტაციის პროცედურები უნდა იყოს არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამოირიცხოს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა;

ბ) გამჭვირვალობა – გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული, გასაგები და ცნობილი ყველა მოხელისათვის;

გ) არადისკრიმინაციულობა – ატესტაციის პროცედურები უნდა უზრუნველყოფდეს მოქალაქეთა თანასწორობას განურჩევლად რასისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, საზოგადოებაში მათი მდგომარეობის, ეროვნების, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა;

დ) საჯაროობა – ატესტაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმები და ატესტაციის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის;

ე) კოლეგიურობა – ატესტაციის ეტაპები უნდა ჩატარდეს და შედეგები უნდა დამტკიცდეს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ;

ვ) კორექტულობა – ატესტაციის ჩატარების ფორმები და მეთოდები, დასმული შეკითხვები უნდა იყოს კორექტული, საკონკურსო-საატესტაციო კომისია უნდა იყოს კეთილგანწყობილი და არ ახდენდეს მოხელეზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

მუხლი 21. ატესტაციის დრო

1. საკრებულოს აპარატში ატესტაციის ჩატარების დროს განსაზღვრავს საკრებულოს თავმჯდომარე კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ატესტაციის ჩატარების დროს განსაზღვრავს გამგებელი კომისიისთან შეთანხმებით.

3. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ატესტაციას დაქვემდებარებულ პირთა სიას და ჩატარების გრაფიკს ამზადებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი და კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.

4. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ატესტაციას დაქვემდებარებულ პირთა სიას და ატესტაციის ჩატარების გრაფიკს ამზადებს გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური და კომისიისთან შეთანხმებით ბრძანებით ამტკიცებს გამგებელი.

5. ატესტაციის გრაფიკი, ინფორმაცია ატესტაციის ჩატარების პრინციპების, პროცედურების, ფორმებისა და პირობების შესახებ ატესტაციას დაქვემდებარებულ პირს უნდა ეცნობოს ატესტაციის დაწყებამდე ორი კვირით ადრე მაინც.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 22. ატესტაციის ჩატარების პროცედურა

1. ატესტაციას ატარებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

2. ატესტაციის პროცესის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელის უშუალო ხელმძღვანელი წარადგენს დახასიათებას თანდართული ფორმის მიხედვით (დანართი N2). იგივე ფორმას ავსებს და წარადგენს ატესტაციას დაქვემდებარებული მოხელე.

3. მოხელეს უფლება აქვს ატესტაციის დაწყებამდე გაეცნოს ხელმძღვანელის მიერ მასზე შედგენილ დახასიათებას.

4. ატესტაციის ჩატარებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას უზრუნველყოფს დაწესებულების საკადრო სამსახური.

5. ატესტაცია შეიძლება ჩატარდეს შემდეგი ფორმით: ტესტირება ან/და გასაუბრება.

6. ატესტაციის ჩატარების ფორმებს, სატესტო მეთოდოდიკებსა და თემატიკას, მოხელის მიერ

დაკავებული თანამდებობის სპეციფიკისგათვალისწინებით, განსაზღვრავს კომისია დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

7. გასაუბრების გზით ატესტაციის ჩატარებისას მოხელის დაკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, კომისია ისმენს მოხელის ანგარიშს საატესტაციო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ, ამოწმებს მის ცოდნას საკვალიფიკაციო თემატიკის შესაბამისად და უსვამს მას კითხვებს მის სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუხლი 23 . მოხელის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება

1. ატესტაციის დროს კენჭისყრისა და გადაწყვეტილებების მიღების წესი განისაზღვრება ამ წესის მე-5 მუხლის შესაბამისად.

2. ატესტაციის შედეგების მიხედვით კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი შინაარსის დასკვნა:

ა) მოხელე შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და ექვემდებარება დაწინაურებას;

ბ) მოხელე შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

გ) მოხელე ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას (საჭიროებს კვალიფიკაციის ამაღლებას);

დ) მოხელე არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

3. საჭიროების შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას და დაწესებულების ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებას მოხელისათვის საკლასო ჩინის მინიჭების ან ჩამორთმევის შესახებ.

მუხლი 24 . ატესტაციის შედეგები

1. კომისია ვალდებულია თითოეული მოხელის ატესტაციის შედეგების შესახებ მოამზადოს დასკვნა, რომელიც ფორმდება სხდომის ოქმით და მას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

2. ატესტაციის შედეგები შეტანილი უნდა იქნეს საატესტაციო ფურცელში, რომელიც ივსება ერთ პირად და დახასიათებასთან ერთად თან ერთვის მოხელის პირად საქმეს. საატესტაციო ფურცელს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები (დანართი N3).

3. მოხელე საატესტაციო ფურცლის შევსებიდან ორ დღეში ეცნობა და ხელს აწერს მას.

4. ატესტაციის შედეგების შესახებ კომისია დაწესებულების ხელმძღვანელს მოახსენებს ატესტაციის პროცესის დასრულებიდან ერთ კვირაში.

5. კომისიის დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე, დაწესებულების ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის ამაღლების, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ან მოხელის დაწინაურება/დაქვეითების შესახებ, ატესტაციის დასრულებიდან სამი კვირის განმავლობაში.

6. თუ ატესტაციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად მოხელე არ შეესაბამება ან ნაწილობრივ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას და იგი სხვა თანამდებობის დაკავებაზე ან კვალიფიკაციის ამაღლებაზე უარს აცხადებს, დამნიშვნელ პირს უფლება აქვს მოხელე გაათავისუფლოს თანამდებობიდან.

მუხლი 25 . ატესტაციის შედეგების გასაჩივრება

ატესტაციის პროცესთან და შედეგებთან დაკავშირებული დავა წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მოხელის დახასიათება

სახელი, გვარი

.....

დაკავებული თანამდებობა

.....

სამსახურებრივი მოვალეობების

ჩამონათვალი.....

საატესტაციო პერიოდში შესრულებულ საკითხთა ჩამონათვალი და შედეგების შეფასება

.....

..... პროფესიული და ინდივიდუალური

ჩვევები..... დადებითი და

უარყოფითი მხარეები.....

წახალისება

.....

დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

.....

წინადადებები კვალიფიკაციის ამაღლების, წახალისების, თანამდებობრივი
დაწინაურების, სპეციალური წოდების ან საკლასო ჩინის მინიჭების შესახებ

.....

ხელმოწერა

თარიღი

საატესტაციო ფურცელი

მოხელის სახელი, გვარი

.....

დაბადების თარიღი და ადგილი

.....

დაკავებული თანამდებობა და დანიშვნის (არჩევის)

თარიღი.....

თანამდებობრივი რანგი, საკლასო ჩინი, სპეციალური წოდება

..... განათლება (სასწავლო დაწესებულება,

სპეციალობა)

.....

.....სამეცნიერო ხარისხი, სამეცნიერო წოდება

.....

შრომის საერთო სტაჟი (მ/შ საჯარო სამსახურში)

..... საკონკურსო-საატესტაციო

კომისიის დასკვნა..... საკონკურსო-

საატესტაციო კომისიის რეკომენდაცია

.....

.....შენიშვნა

.....

.....

.....

.....

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის წევრები :

თარიღი



**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N12
2013 წლის 30 მაისი
ქ. ხობი**

**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და გამგეობაში საჯარო
თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების
დამტკიცების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ თანახმად N1 დანართისა.

2. დამტკიცდეს „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები“ თანახმად N2 დანართისა.

3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა

ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მუხლი 1. საერთო მოთხოვნები

1. წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრული დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება სავალდებულოა ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელის თანამდებობის დასაკავებლად, რომელიც თანამდებობათა რანგების მიხედვით მოიცავს:

- ა) უმაღლეს/საშუალო განათლებას, სამუშაო გამოცდილებას;
- ბ) ელექტრონულ საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით საქმისწარმოებას (დოკუმენტის მიღება, დოკუმენტის შედგენა/გადაგზავნა);
- გ) ქართულ ენაზე გამართულ ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას;
- დ) პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამის მენეჯერულ უნარებს.

2. საკრებულოს აპარატის ყველა საჯარო მოხელისათვის სავალდებულოა შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- ა) საქართველოს კონსტიტუცია;
- ბ) „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- გ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- დ) „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ე) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- ვ) „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ზ) ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება;
- თ) ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულება (რეგლამენტი).

მუხლი 2. მინიმალური და სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შედგება მინიმალური და სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნებისაგან.

2. მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები საერთოა ყველა საჯარო მოხელისათვის.

3. მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები წესდება საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი რანგებისა და სამუშაოთა აღწერილობების შესაბამისად და მოიცავს საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა ყველა თანამდებობას.

მუხლი 3. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების კომპონენტები

საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- ა) პროფესიული ცოდნის მოთხოვნები;
- ბ) ზოგადი უნარების მოთხოვნები;
- გ) პროფესიული უნარების მოთხოვნები.

მუხლი 4. მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები პროფესიული ცოდნის სფეროში

საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელის თანამდებობის დასაკავებლად (დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისად) სავალდებულოა შემდეგი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მინიმალური ცოდნა:

- ა) „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ბ) „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- გ) „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- დ) „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ე) „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულება.

მუხლი 5. მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნა ზოგადი უნარების სფეროში

საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულოა ქართულ ენაზე გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი.

მუხლი 6. სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების სფეროში

1. აპარატის უფროსს და საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსებს თანამდებობათა რანგების შესაბამისად მოეთხოვებათ:

- ა) უმაღლესი განათლება;
- ბ) არანაკლებ 2 წლიანი საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება ან მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი;
- გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Windows, XP, Excel და Word) სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

2. მთავარ სპეციალისტს მოეთხოვება:

- ა) უმაღლესი განათლება;
- ბ) მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება;
- გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Windows, XP, Excel და Word) სამომხმარებლო დონეზე ცოდნა.

3. წამყვან სპეციალისტს და სპეციალისტს მოეთხოვება: უმაღლესი/საშუალო განათლება.

მუხლი 7. სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები პროფესიული უნარების სფეროში

1. საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულოა:

ა) ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების მეშვეობით საქმისწარმოების პროფესიული უნარები;

ბ) პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისი მენეჯერული უნარები.

2. მთავარი სპეციალისტის, წამყვანი სპეციალისტის და სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულოა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმისწარმოებაში გამოყენებულ დოკუმენტებთან ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების მეშვეობით მუშაობის (დოკუმენტის მიღება, დოკუმენტის შედგენა და გადაგზავნა) პროფესიული უნარები.

**ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობაში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დადგენილი დამატებითი
საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

მუხლი 1. საერთო მოთხოვნები

1. წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრული დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება პროფესიული ცოდნის, გამოცდილების, პროფესიული უნარებისა და ზოგადი უნარების სფეროში სავალდებულოა გამგეობის საჯარო მოხელის თანამდებობის დასაკავებლად, რომელიც თანამდებობათა რანგების მიხედვით მოიცავს:

ა) გამგებლის, გამგებლის მოადგილის, სამსახურის უფროსის, გამგებლის თანაშემწის, განყოფილების უფროსისა და ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი-რწმუნებულისთვის:

ა.ა) უმაღლესი განათლება;

ა.ბ) მუშაობის არანაკლებ 3 (სამი) წლის გამოცდილება ან მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი;

ბ) მთავარი სპეციალისტის, წამყვანი სპეციალისტის, უფროსი სპეციალისტისა და სპეციალისტისთვის: უმაღლესი/საშუალო განათლება.

2. გამგეობის ყველა საჯარო მოხელისათვის სავალდებულოა:

ა) შემდეგი სამართლებრივი აქტების მინიმალური ცოდნა:

ა.ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ა.ბ) „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;

ა.გ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;

ა.დ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

ა.ე) „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი;

ა.ვ) „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონი;

ა.ზ) ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულება (რეგლამენტი)

ა.თ) ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება.

ბ) ქართულ ენაზე გამართულად წერა და მეტყველება;

გ) პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისი მენეჯერული უნარები;

დ) ელექტრონულ საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით საქმისწარმოება (დოკუმენტის მიღება, დოკუმენტის შედგენა/გადაგზავნა).

მუხლი 2. სპეციალური მოთხოვნები გამგებლისა და გამგებლის მოადგილეებისთვის

სამართლებრივი აქტების ნუსხა, რომელთა ცოდნაც დამატებით მოეთხოვება გამგებელს და გამგებლის მოადგილეებს:

ა) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი

ბ) „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;

დ) „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

ე) „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი.

მუხლი 3. სპეციალური მოთხოვნები გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საჯარო მოხელეებისათვის

1. სამართლებრივი აქტების ნუსხა, რომელთა ცოდნაც დამატებით მოეთხოვება სამსახურის უფროსს, განყოფილების უფროსებს, მთავარ სპეციალისტებს, უფროს სპეციალისტებს და სპეციალისტებს:

ა) „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის N46 ბრძანებულება;

ბ) „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის N47 ბრძანებულება;

გ) „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულება;

დ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულება.

2. ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების საჯარო მოხელეებს დამატებით მოეთხოვებათ შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;

ბ) „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;

დ) „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

ე) „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი;

ვ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;

ზ) „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ საქართველოს კანონი;

თ) „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება.

მუხლი 4. სპეციალური მოთხოვნები გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საჯარო მოხელეებისათვის

1. სამართლებრივი აქტების ნუსხა, რომელთა ცოდნაც დამატებით მოეთხოვება სამსახურის უფროსს, მთავარ სპეციალისტებს, უფროს სპეციალისტებს და სპეციალისტებს:

ა) საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;

ბ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;

გ) „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი;

დ) „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი;

ე) ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულება.

2. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების საჯარო მოხელეებს დამატებით მოეთხოვებათ შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება;

ბ) „სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის და საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის ოდენობებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის N15 ბრძანება;

გ) „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება;

3. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების საჯარო მოხელეებს დამატებით მოეთხოვებათ შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანება;

ბ) „ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის N1126 ბრძანება;

გ) „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ივლისის N5 დადგენილება;

4. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საფინანსო ზედამხედველობისა და ბუღალტერიის განყოფილების საჯარო მოხელეებს დამატებით მოეთხოვებათ შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ა) „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება;

ბ) „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება;

გ) „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანება.

მუხლი 5. სპეციალური მოთხოვნები გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის საჯარო მოხელეებისათვის

1. სამართლებრივი აქტების ნუსხა, რომელთა ცოდნაც დამატებით მოეთხოვება სამსახურის უფროსს, მთავარ სპეციალისტებს, უფროს სპეციალისტებს და სპეციალისტებს:
 - ა) „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
 - ბ) „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონი;
 - გ) „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
 - დ) „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი;
 - ე) „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი;
 - ვ) „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
 - ზ) „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
 - თ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულება.
2. გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ეკონომიკური განვითარების, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის, ბუნებრივი რესურსების, ტრანსპორტის რეგულირებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების საჯარო მოხელეებს დამატებით მოეთხოვებათ შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
 - ა) „თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და სახელმწიფო ქონებაზე (წიაღის ჩათვლით) დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონებაზე დამაგრებული მიწების, აგრეთვე იმ მიწების, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ექვემდებარება დასახელებული კატეგორიის ქონებაზე დამაგრებას, განსაზღვრისა და გამიჯვნის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 ოქტომბრის №233 დადგენილება;
 - ბ) „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 მარტის N118 დადგენილება;
 - გ) „ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის, მოსაკრებლის ოდენობის და მოსაკრებლის გადახდის ქვითრის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 25 თებერვლის N141 დადგენილება;
 - დ) „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 25 ივნისის N123 დადგენილება.
3. გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ქალაქმშენებლობის განყოფილების საჯარო მოხელეებს დამატებით მოეთხოვებათ შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
 - ა) „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტი N57 დადგენილება;
 - ბ) „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 ივლისის N1-1/1254 ბრძანება;
 - გ) „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე I კლასს დაქვემდებარებულ შენობა-ნაგებობათა სახეობების, ზონების და პირობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 27 ივლისის N47 დადგენილება.
4. გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ზედამხედველობის განყოფილების საჯარო მოხელეებს დამატებით მოეთხოვებათ შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
 - ა) „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ საქართველოს კანონი;
 - ბ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

მუხლი 6. სპეციალური მოთხოვნები გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის საჯარო მოხელეებისათვის

- სამართლებრივი აქტების ნუსხა, რომელთა ცოდნაც დამატებით მოეთხოვება სამსახურის უფროსს, მთავარ სპეციალისტებს, უფროს სპეციალისტებს და სპეციალისტებს:
- ა) „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონი;
 - ბ) „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
 - გ) „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი;

- დ) „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ე) ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულება.

მუხლი 7. სპეციალური მოთხოვნები შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის საჯარო მოხელეებისათვის

სამართლებრივი აქტების ნუსხა, რომელთა ცოდნაც დამატებით მოეთხოვება სამსახურის უფროსს, მთავარ სპეციალისტებს, უფროს სპეციალისტებს და სპეციალისტებს:

- ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ბ) „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- გ) „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- დ) „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ე) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ვ) „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ზ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის დებულება.

მუხლი 8. სპეციალური მოთხოვნები გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის საჯარო მოხელეებისათვის

სამართლებრივი აქტების ნუსხა, რომელთა ცოდნაც დამატებით მოეთხოვება სამსახურის უფროსს, განყოფილების უფროსებს, მთავარ სპეციალისტებს, წამყვან სპეციალისტებს და სპეციალისტებს:

- ა) „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ბ) „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- გ) „ხანძრების, ავარიების, კატასტროფების, სტიქიური უბედურებებისა და სხვა საგანგებო სიტუაციებისას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახანძრო-სამაშველო დანაყოფების და სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის რეგიონული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ძალებისა და საშუალებების ჩაბმის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2010 წლის 29 ივნისის N571 ბრძანება;
- დ) „სახანძრო-სამაშველო დანაყოფებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 18 მაისის N649 ბრძანება;
- ე) „სახანძრო დაცვის სამსახურების მიერ ხანძრის ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 21 მაისის N738 ბრძანება;
- ვ) საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 27 მარტის N449 ბრძანება;
- ზ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის დებულება.

მუხლი 9. სპეციალური მოთხოვნები გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის საჯარო მოხელეებისათვის

სამართლებრივი აქტების ნუსხა, რომელთა ცოდნაც დამატებით მოეთხოვება სამსახურის უფროსს, მთავარ სპეციალისტებს, წამყვან სპეციალისტებს, უფროს სპეციალისტებს და სპეციალისტებს:

- ა) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ბ) „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- გ) „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- დ) „მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 იანვრის N11 ბრძანებულება;
- ე) ხობის მუნიციპალიტეტის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დებულება.

მუხლი 10. სპეციალური მოთხოვნები ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოხელეებისათვის

სამართლებრივი აქტების ნუსხა, რომელთა ცოდნაც დამატებით მოეთხოვება ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს (რწმუნებული) და სპეციალისტებს:

- ა) „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი (38, 41 მუხლები);
- ბ) „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- გ) „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- დ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოების დებულება.



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N13
2013 წლის 30 მაისი
ქ. ხობი**

ქ. ხობში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის და „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქ. ხობში, გოგებაშვილის ქუჩის დასაწყისში დაიდგას საგზაო ნიშანი „3.4. „სატვირთო ავტომობილების მოძრაობა აკრძალულია“ (აკრძალულია სატვირთო ავტომობილისა და სატრანსპორტო საშუალების შემადგენლობების, აგრეთვე ტრაქტორისა და თვითმავალი მანქანის მოძრაობა, რომელთა ნებადართული მაქსიმალური მასა 3,5 ტონას აღემატება).

2. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგზაო ნიშნის განთავსების უზრუნველყოფა 30 დღის ვადაში.

3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მ. ქარდავა



**ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N14
2013 წლის 30 მაისი
ქ. ხობი**

**„ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის
დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 10 მაისის N41
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 10 მაისის N41 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი, 110517015, 20.05.2011 წ., სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.106.016034) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების დანართი N1 ჩამოყალიბდეს ამ დადგენილების დანართის შესაბამისად.
2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



დამტკიცებულია
ხოზის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2013 წლის 30 მაისის №14 დადგენილებით

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის
ოქმი №

201 წლის ----

(ოქმის შედგენის ადგილი)

1. მე, ხოზის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების
სამსახურის -----

(თანამდებობა, სახელი, გვარი, მამის სახელი)

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე და 240-ე
მუხლების შესაბამისად, შევადგინე აღნიშნული ოქმი -----

(სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი და დრო)

(სამართალდამრღვევი სუბიექტის სრული დასახელება, სახელი, გვარი, მამის სახელი, მოქალაქეობა)

(სამართალდამრღვევი სუბიექტის იურიდიული მისამართი)

(სამართალდარღვევის არსი)

რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ----

(მუხლი, ნაწილი, ქვეპუნქტი)

2. აღნიშნულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში
მიცემული პირის (წარმომადგენლის) ახსნა-განმარტება: -----

3. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს განემარტა მისი უფლებები და მოვალეობები.
მე, -----

(სახელი, გვარი, მამის სახელი)

გავეცანი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით
გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს:

„ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს
ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის
განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს მშობლიურ ენაზე
და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს
საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე
განხილვა იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ
პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა არის
ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და
მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე“.

4. ზემოაღნიშნული სამართალდარღვევის გამო შედგა ეს ოქმი, რომლის სისწორესაც
ვადასტურებთ ხელმოწერით:

ოქმი შევადგინე: -----

(ოქმის შემდგენელი პირის ხელმოწერა)

ოქმს გავეცანი: -----

(ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ხელმოწერა)

შენიშვნა: -----

(შენიშვნის არსი და ოქმის შემდგენელი პირის ხელმოწერა)

მოწმეები (დასწრების შემთხვევაში):

----- (სახელი, გვარი)	----- (მისამართი, პირადობის მოწმობის №)	----- (ხელმოწერა)
----- (სახელი, გვარი)	----- (მისამართი, პირადობის მოწმობის №)	----- (ხელმოწერა)

დაზარალებულები (დასწრების შემთხვევაში):

----- (სახელი, გვარი)	----- (მისამართი, პირადობის მოწმობის №)	----- (ხელმოწერა)
----- (სახელი, გვარი)	----- (მისამართი, პირადობის მოწმობის №)	----- (ხელმოწერა)

5. ოქმის ასლი ჩავიბარე: -----

(სახელი, გვარი, მამის სახელი, მოქალაქეობა, მისამართი, პირადობის მოწმობის №)

(ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ხელმოწერა)

შენიშვნა: ოქმის ხელის მოწერაზე უარის თქმა არ წარმოადგენს საქმის შეწყვეტის საფუძველს.

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმისთვის დასართავი
ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსთან დაკავშირებით, აგრეთვე ჩამოაყალიბოს თავის
ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

დამკვეთი: ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა
შემსრულებელი:
სფს-ს რეგისტრაციის №

საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა



**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N15
2013 წლის 27 ივნისი
ქ. ხობი**

**„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 29 მარტის N27 დადგენილებაში ცვლილების
შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 29 მარტის N27 დადგენილებაში (გაზეთი „ხობის მოამბე“, N4-5 აპრილი) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების I¹ თავი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი I¹

აპარატის სტრუქტურა

მუხლი 3¹. აპარატის სტრუქტურული ერთეულები

აპარატის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილება;

ბ) საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება.“

მუხლი 3². იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილება

იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილება:

ა) ამზადებს საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივ აქტებს;

ბ) მონაწილეობას იღებს შესაბამის კომისიებთან ერთად საკრებულოს მიერ მისაღები სამართლებრივი აქტების მომზადებაში;

გ) ორგანიზაციულ და მეთოდურ დახმარებას უწევს საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებს, საკრებულოს ფრაქციებს, საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფებს და საკრებულოს წევრებს სამართლებრივი აქტებისა და სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის პროექტების შემუშავებაში;

დ) ახორციელებს საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზას;

ე) წარმოადგენს და იცავს საკრებულოს ინტერესებს სასამართლოში;

ვ) ახდენს საკრებულოსა და საკრებულოს თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების კოდიფიკაციას და სისტემატიზაციას; აკონტროლებს მათ შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, საჭიროების შემთხვევაში ამზადებს წინადადებებს მიღებული სამართლებრივი აქტის გაუქმების ან მასში ცვლილებების შეტანის შესახებ;

ზ) უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა პირადი საქმეების და სხვა საკადრო დოკუმენტაციის შედგენას, აღრიცხვასა და წარმოებას;

თ) აფორმებს აპარატის მოსამსახურეთა სამუშაოზე მიღების, სამუშაოდან გათავისუფლების, შვებულებაზე გასვლის, სამივლინებო, საპენსიო და სხვა დოკუმენტებს;

ი) უზრუნველყოფს აპარატში ერთიან საქმისწარმოებას; აყალიბებს საქმეთა ნომენკლატურას, შეიმუშავებს კლასიფიკატორებს, ინდექსებს, შიფრებსა და კოდებს;

კ) უზრუნველყოფს საკრებულოსა და საკრებულოს თანამდებობის პირების სახელზე შემოსული წერილების, განცხადებების და სხვა დოკუმენტაციის აღრიცხვას, სისტემატიზაციას, მის ანოტირებას, სარეკვიზიტო და დოკუმენტურ გაფორმებას, ადრესატისადმი გადაცემას, კორესპონდენციის გადაგზავნას; საარქივო მასალების ანოტირებას და არქივის წარმოებას;

- ლ) აფორმებს და აღრიცხავს მიღებულ დოკუმენტებზე საკრებულოს თანამდებობის პირების დავალებებს და გადასცემს შემსრულებლებს; აკონტროლებს კორესპონდენციის განსახილველად გამზადებას და მოძრაობას, საკითხის განხილვაზე კანონით დადგენილი ვადების დაცვას;
- მ) უზრუნველყოფს სხდომაზე გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვას, მიღებულ გადაწყვეტილებათა გაფორმებას, რედაქტირებას, რეგისტრაციას და გამოქვეყნებას;
- ნ) უზრუნველყოფს საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს სხდომებისა და თათბირების ოქმების წარმოებას; სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა და დავალებათა აღრიცხვას და კონტროლს მათ შესრულებაზე;
- ო) ახდენს ინიცირების წესით შემოსულ საკითხთა რეგისტრაციას;
- პ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.
- მუხლი 3³. საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება
საორგანიზაციო საკითხთა განყოფილება:
- ა) ახორციელებს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომების და სხვა ღონისძიებების ჩატარების ორგანიზაციულ უზრუნველყოფასა და სხდომაზე განსახილველ საკითხთან დაკავშირებული მასალების გამრავლებას და დარიგებას;
- ბ) ორგანიზაციას უწევს სხდომებზე პირთა მოწვევას და გაფრთხილებას, ახდენს მათ რეგისტრაციას;
- გ) ორგანიზებას უწევს თანამდებობის პირთა მიერ მოქალაქეთა მიღებას;
- დ) ორგანიზებას უწევს საკრებულოს, საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების შეხვედრებს მოსახლეობასთან;
- ე) ორგანიზებას უწევს საკრებულოს ურთიერთობას გამგეობასთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, საკრებულოს მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებთან, დაწესებულებებთან, საწარმოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოქალაქეებთან;
- ვ) ორგანიზებას უწევს საკრებულოს კავშირურთიერთობების ჩამოყალიბებას და თანამშრომლობის განვითარებას სხვა (მათ შორის საზღვარგარეთ) თვითმმართველ ერთეულებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- ზ) ორგანიზებას უწევს ოფიციალური დელეგაციების მიღებას და საკრებულოს ოფიციალური დელეგაციების მივლინებას;
- თ) ახდენს ჟურნალისტიკის აკრედიტაციას, უზრუნველყოფს მათ დასწრებას საკრებულოს ორგანოების სხდომებზე; მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნას, მათ ინფორმირებას, საზოგადოებასთან ქმედითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას;
- ი) ორგანიზაციას უწევს პრეს-კონფერენციების, ბრიფინგების, ჟურნალისტებთან შეხვედრების ჩატარებას;
- კ) ორგანიზებას უწევს სოციოლოგიური გამოკითხვების ჩატარებას;
- ლ) უზრუნველყოფს სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად აუცილებელი პირობების შექმნას;
- მ) ახორციელებს საკრებულოს თანამდებობის პირებისა და აპარატის მოსამსახურეების მატერიალურ-ტექნიკური და სატრანსპორტო მომსახურებით უზრუნველყოფას;
- ნ) უზრუნველყოფს საკრებულოს ინვენტარისა და მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვას, შენახვას, რაციონალურ გამოყენებას, მოვლასა და დაცვას.
- ო) ახორციელებს საკრებულოსა და საკრებულოს აპარატის უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო მომსახურების, საქონლისა და სამუშაოთა შესყიდვის დაგეგმვას „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამგეობისთვის წარსადგენად;
- პ) ახდენს საკრებულოს ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქებული მასალების და პუბლიკაციების ანალიზს;
- ჟ) უზრუნველყოფს საკრებულოს საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის გავრცელებას;
- რ) უზრუნველყოფს საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური ქსელის ადმინისტრირებას;

ს) უზრუნველყოფს საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური ქსელისთვის ინფორმაციების მოძიებას;

ტ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.“

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N16
2013 წლის 27 ივნისი
ქ. ხობი**

„ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 მაისის N11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

3. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 მაისის N11 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი, 06/06/2013 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.106.016089) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების სათაური შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების და საკონკურსო-საატესტაციო მუდმივმოქმედი კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“

ბ) დადგენილებით დამტკიცებული კომისიის საქმიანობის წესის მე-6 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კონკურსის ან/და ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით იქმნება საპრეტენზიო კომისია.

2. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას განსაზღვრავს საკრებულოს თავმჯდომარე.“

გ) დადგენილებით დამტკიცებული კომისიის საქმიანობის წესის მე-6 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. ატესტაციის შემთხვევაში მოხელეს საპრეტენზიო კომისიისადმი მიმართვის უფლება აქვს შედეგების გამოცხადებიდან/საატესტაციო ფურცლის გაცნობიდან არა უგვიანეს 2 დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება სამ დღეში, მიღებული გადაწყვეტილების თანახმად დგება ოქმი და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საკონკურსო-საატესტაციო კომისიას.“

დ) დადგენილებით დამტკიცებული კომისიის საქმიანობის წესის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. კომისიის სამდივნო

1. კომისიის საქმიანობის ორგანიზებისა და მუშაობის ეფექტურად წარმართვის მიზნით კომისიის თავმჯდომარე ქმნის კომისიის სამდივნოს (შემდგომში – სამდივნო).

2. სამდივნო კომისიის საქმიანობის ორგანიზების მიზნით:

ა) უზრუნველყოფს კონკურსისა და ატესტაციასთან დაკავშირებით გამოცემული სამართლებრივი აქტების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას;

ბ) კონკურსანტების განცხადებების მიღებას;

გ) ამოწმებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობას;

3. სამდივნო კომისიის საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით:

ა) ტექნიკურად უზრუნველყოფს კომისიის სხდომების მომზადებას;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და წევრების ცალკეულ დავალებებს;

გ) უზრუნველყოფს საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში შემოსული კორესპონდენციის აღრიცხვას და სათანადო კომპიუტერული მონაცემთა ბაზის შექმნას.

4. სამდივნოს შემადგენლობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე. სამდივნოს საქმიანობას ხელმძღვანელობს სამდივნოს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

5. სამდივნოს უფროსი პასუხისმგებელია სამდივნოს საქმიანობაზე კომისიის თავმჯდომარის წინაშე.

6. კონკურსის ან ატესტაციის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ სამდივნო წყვეტს საქმიანობას.“

ე) დადგენილებით დამტკიცებული კომისიის საქმიანობის წესის მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 10. კონკურსის გამოცხადება

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ვაკანსიის ან საკრებულოს აპარატში ვაკანსიის არსებობის ან/და შტატის დამატების შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარე კომისიას წარუდგენს წინადადებას ვაკანსიის გამოცხადების შესახებ.

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ვაკანსიის არსებობის ან/და შტატის დამატების შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებას, რომელსაც თან ერთვის არსებული ან/და დასამატებელი თანამდებობის საჭიროების დასაბუთება. საკრებულოს თავმჯდომარე თავის მხრივ კომისიას წარუდგენს წინადადებას ვაკანსიის გამოცხადების შესახებ.

3. კონკურსის გამოცხადების შესახებ შეტყობინების მომზადებასა და გამოქვეყნებას უზრუნველყოფს კომისია. შეტყობინება კონკურსის შესახებ უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ა) კონკურსის წესით შესავსები თანამდებობის დასახელება;
- ბ) კანდიდატისათვის წაყენებული მოთხოვნები;
- გ) შესასრულებელი სამუშაო;
- დ) თანამდებობრივი სარგოს ოდენობა;
- ე) განცხადებისა და სხვა აუცილებელი საბუთების წარდგენის ვადა;
- ვ) კომისიის მისამართი.

4. კომისიის სხდომა ტარდება არა უადრეს 10 დღისა კონკურსის შესახებ შეტყობინების გამოქვეყნების დღიდან.

5. საჯარო მოსამსახურეს უფლება აქვს მიიღოს კონკურსში მონაწილეობა საერთო წესის საფუძველზე, მის მიერ დაკავებული თანამდებობის მიუხედავად.“

ვ) დადგენილებით დამტკიცებული კომისიის საქმიანობის წესის მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. საბუთების წარდგენა კონკურსში მონაწილეობისთვის

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატს განცხადების წარდგენა შეუძლია, ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით, ასევე არაელექტრონული ფორმით, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მისამართზე.

2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარადგინოს:

- ა) განცხადება;
- ბ) Curriculum vitae (CV);
- გ) განათლებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
- დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ე) შრომის წიგნაკის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ;
- ვ) ფერადი ფოტოსურათი (ზომა 3X4);
- ზ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ;

თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა, ხოლო „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირმა - ნარკოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა I და II სიაში შეტანილი ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულების ნიშნებისა და ამ ნივთიერებათა ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარების ფაქტის არსებობა.“

ზ) დადგენილებით დამტკიცებული კომისიის საქმიანობის წესის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კომისია ტესტირების ჩატარების შემთხვევაში კანდიდატისთვის დადებითი შეფასების მისაღებად განსაზღვრავს აუცილებელი ქულების მინიმალურ ზღვარს.“

თ) დადგენილებით დამტკიცებული კომისიის საქმიანობის წესის მე-22 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ატესტაციის ჩატარებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას საკრებულოში უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი, ხოლო გამგეობაში - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახური.“

ი) დადგენილებით დამტკიცებული კომისიის საქმიანობის წესის მე-24 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. კომისიის დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე, დაწესებულების ხელმძღვანელი იღებს გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის ამაღლების, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების ან მოხელის დაწინაურება/დაქვეითების შესახებ, ატესტაციის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში.“

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა ქარდავა



**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება N17
2013 წლის 27 ივნისი
ქ. ხობი**

„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და გამგეობაში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 მაისის N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატსა და გამგეობაში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 მაისის N12 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი, 06/06/2013 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.106.016090) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

